# შპს „თეიმურაზ ჯანგულაშვილი და კომპანია"

საქართველო, ქ.რუსთავი, რკინა-ბეტონის ქარხნის მიმდებარე ტერიტორია, საიდენტიფიკაციო ნომერი: 216322619,
ტელ.: (+995) 551 001 000 ელ.ფოსტა: irakli.irakli 1983@bk.ru


№: 01/15

15.03.2021 წ.

საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს

ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ შ.პ.ს. „თეიმურაზ ჯანგულაშვილი და კომპანია"-ს დაგეგმილი აქვს ცემენტის საწარმოს (კლინკერის, თაბაშირისა და დანამატების დაფქვით) მშენებლობა და ექსპლუატაცია ქ. რუსთავში, ცემენტის ქარხნის და რკინიგზის ხაზის მიმდებარედ, 13928.00 კვ.მ. ფართობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, შ.პ.ს. „თეიმურაზ ჯანგულაშვილი და კომპანია"-ს (ID ნომერი 216322619) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე. მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: №02.07.02.042.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს II დანართის მე-5 პუნქტის 5.4 ქვეპუნქტის თანახმად "ცემენტის, კირის, გაჯის ან/და თაბაშირის წარმოება" მიეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს II დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას. ამ კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობისთვის გზშ-მდე ხორციელდება სკრინინგის პროცედურა, გარდა ამ მუხლის მე-13 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა, რომლის შესაბამისად "თუ საქმიანობის განმახორციელებელი გეგმავს ამ კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას და მიაჩნია, რომ ამ საქმიანობისთვის აუცილებელია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა, იგი უფლებამოსილია სამინისტროს ამ კოდექსის მე-8 მუხლით დადგენილი წესით წარუდგინოს სკოპინგის განცხადება (სკრინინგის ეტაპის გავლის გარეშე). ასეთ შემთხვევაში გამოიყენება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის ამ კოდექსით დადგენილი მოთხოვნები".

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-8 და მე-9 მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად განხორციელებული სკოპინგის პროცედურის საფუძველზე, "ქ. რუსთავში შპს „თეიმურაზ ჯანგულაშვილი და კომპანიას" ცემენტის წარმოებაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 06 იანვრის №2-14 ბრძანებით გამოცემული იქნა 2020 წლის დეკემბრის №100 სკოპინგის დასკვნა.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს და "ქ. რუსთავში შპს „თეიმურაზ ჯანგულაშვილი და კომპანიას" ცემენტის წარმოებაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 06 იანვრის №2-14 ბრძანებით გამოცემული 2020 წლის დეკემბრის №100 დასკვნის შესაბამისად მომზადებული იქნა გარემოზე ზემოქმედების ანგარიში და კანონმდებლობით გათვალისწინებული საჭირო დოკუმენტაცია.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო № 4418 "15" 03 2021 2/CD 02

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-10 და მე-11 მუხლების საფუძველზე წარმოგიდგენთ შ.პ.ს. „თეიმურაზ ჯანგულაშვილი და კომპანია”-ს ცემენტის საწარმოს (კლინკერის, თაბაშირისა და დანამატების დაფქვით) მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის

გარემოზე ზემოქმედების ანგარიშს (კანონმდებლობით გათვალისწინებულ საჭირო დოკუმენტაციასთან ერთად) და გთხოვთ არსებული კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად გასცეთ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

დანართი: 1. გარემოზე ზემოქმედების ანგარიში (დოკუმენტის ნაბეჭდი და ელ. ვერსია)- 1 ეგზ;
2. არატექნიკური რეზიუმე (დოკუმენტის ნაბეჭდი და ელ. ვერსია)- 1 ეგზ.;
3. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის (ზ.დ.გ.) ნორმების პროექტი (დოკუმენტის ნაბეჭდი და ელ. ვერსია)- 2 ეგზ;
4. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ ინფორმაცია, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად);
5. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
6. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მოსაკრებლის გადახდის ქვითარი.

პატივისცემით,

თეიმურაზ ჯანგულაშვილი

შ.პ.ს. „თეიმურაზ ჯანგულაშვილი და კომპანია”-ს დირექტორი